საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 790/01
31/01/2022

790-01-2-202201311547

შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას"

მის: ჭავჭავაძის გამზირი №34, სართ. 6

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 12 იანვრის №230 განცხადება, რომელიც ეხება წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, სოფ. ლიაში არსებულ ავტოგასამართ სადგურზე ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობასა და ექსპლუატაციას.

წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების მიხედვით, ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე განთავსებულია 5 რეზერვუარი, რომელთაგან 3 ერთეული (№1 - 25 მ³ ; №2 - 25 მ³ და №3 – 26 მ³) განკუთვნილია ბენზინის საწვავისთვის, ხოლო 2 ერთეული (№4 – 8.192 მ³ და №5 – 26 მ³) - დიზელის საწვავისთვის. ამასთან, დოკუმენტაციის თანახმად, ავტოგასამართ სადგურზე იგეგმება საწვავის რეალიზაციის გაზრდა და არსებული სარეზერვუარო პარკის განახლება, რის შემდეგაც ობიექტზე იფუნქციონირებს 5 რეზერვუარი, რომელთაგან 3 ერთეული (№1 – 27.27 მ³ ; №2 – 26.39 მ³ და №3 – 26,5 მ³) განკუთვნილია ბენზინის საწვავისთვის, ხოლო 2 ერთეული (№4 – 8.1 მ³ და №5 – 26.3 მ³) - დიზელის საწვავისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაზუსტებს საჭიროებს ავტოგასამართ სადგურზე არსებული და საპროექტო რეზერვუარების მონაცემები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044